ჩემი საქართველო



№92, ნოემბერი, 2024

რუსთავის აკადემიური ქალაქის საგანმანათლებლო-შემეცნებითი გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეროობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!

ღმერთმა დალოცოს რუსთავის აკადემიური ქალაქის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები

თანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტისა და აღმოსავლეთევრპის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოუწერა ხელი, რომელიც თავის მხრივ, რიგ საკითხებთან ერთად, სასწავლო პროცესების სრულყოფასა და სასწავლო ბადის დარეგულირების პარალელურად, სტუდენტური ცხოვრების საინტერესო რიტმს გულისხმობს, ასევე პედაგოგიური და სამეცნიერო ბირთვის გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებსა და ფორუმებში ჩართულობას ითვალისწინებს, თანამშრომლობის კიდევ უფრო დახვეწილი პუნქტებია მემორანდუმში სტუდენტებთან ურთიერთობისათვის, სახელდობრ, თეორიული და პრაქტიკული სასწავლო ნაწილის ერთობლივი წარმართვა, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, სამეცნიერო ტექნოლოგიების გამოყენებით ვიდეოკონფერენციების ორგანიზება, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრის ბაზაზე, აღმოსავლეთევროპის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჩართულობით სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის შექმნა, ასევე სასწავლო სასტუმროსა და რესტორნის, ტურისტული ფირმის, საბირჟაო ტექნოლოგიების ცენტრის, სამედიცინო კლინიკის, ინტერნეტბანკის, სადაზღვევო კომპანიის, პრაქტიკული ჟურნალისტიკის, იურიდიული კლინიკის და სხვა სტუდენტური მიმართულებების პრაქტიკული ხედვის სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება.

–„ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა, მომავალი თაობის აღზრდის, მათი სპეციალისტებად ჩამოყალიბებისა და ეროვნული ღირსების სიყვარულის ერთობლიობაა, სწორედ ამიტომ ეს მემორანდუმი თანამშრომელთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებისა და ნიჭის პროპაგანდაა, რამეთუ ჩვენმა კურსდამთავრებულებმა საპატიო ადგილი დაიკავონ ქართული და უკრაინული, უკრაინული და ქართული სახელმწიფოების განვითარების საქმეში“ – აღნიშნა შეხვედრაზე აღმოსავლეთევროპის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ია ჩუდაევამ, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, თავის გამოსვლაში მოკლედ და საინტერესოდ ისაუბრა აღნიშნული იურიდიული აქტის გაფორმების მნიშვნელობაზე, მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიას, რომელიც საზეიმო ვითარებაში წარიმართა, ესწრებოდნენ აღმოსავლეთევროპის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრეზიდენტი, პროფესორი ნატალია აბლიაზოვა, პრორექტორები: პროფესორი – სერგეი სავჩენკო; დოცენტი – ალექსეი გუცალიუკი; უნივერსიტეტის კოლეჯის დირექტორი, დოცენტი – ანნა ნოვაკი და პედაგოგიური დეპარტამენტის დირექტორი გალინა უსი.

ასპინძა

გამჭვირვალეობის პრინციპით...

თვრამეტი წელია ქვემო ქართლის რეგიონში წარმატებით ოპერირებს კულტურულ-საქველმოქმედო ცენტრი „სალამი“, რომელსაც გამოჩენილი და გამორჩეული პიროვნება მაია რაჯაბოვა უდგას

სათავეში, ეს ორგანიზაცია მისთვის სიყვარულის, სიკეთის, სათნოებისა და ყურადღების გამოვლენის ძირითადი მიმართულებაა... „სალამი“-ს საქმიანობა მოიცავს მრავალფეროვან პროექტებს, შეხვედრებსა და მასშტაბურ საქველმოქმედო ღონისძიებების, კონცერტების ორგანიზება-ჩატარებას ქვემო ქართლში, მის მიერ წარმართული ღონისძიებები, არა მარტო სასწავლო-სამეცნიერო-კულტურული მოვლენაა, არამედ ხიდი ურთიერთობებისა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, მისი საქმიანობა სხვა უამრავ მიმართულებასთან ერთად გაჭირვებულ ადამიანთა და სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებასაც მოიცავს... ესაა ქალი, რომელსაც გულწრფელად უყვარს სამშობლო და გააჩნია კეთილ საქმეთა კეთების ნიჭი... საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო ცენტრთან და საერთოდ ჩვენს აკადემიურ ქალაქთან ქალბატონი მაია რაჯიბოვას დიდი ხნის კოლეგიალური ურთიერთობა აკავშირებს, ამ დღეებში კი, კულტურულ-საქველმოქმედო ცენტრ „სალამსა“ და ჩვენს ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, მემორანდუმის საკითხებთან წვდომა, გამჭირვალობის პრინციპით ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომი გახლდათ, ამიტომაც გაიმართა მისი განხილვა თანამშრომელთა საჯარო სივრცეში, ქალბატონმა მაია რაჯაბოვამ და და ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ ვრცლად ისაუბრეს ნორმატიული აქტის შესახებ და დეტალურად გააანალიზეს მემორანდუმის ყველა პუნქტი, სიტყვებითა და მოსაზრებებით გამოვიდნენ საქართველო-უკრაინის სოციალური ურთიერთობათა ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო ცენტრის თანამშრომლები: ეთერ ჭიპაშვილი, გენრიეტა აბესაძე, ვაჟა კანდელაკი, როზა გულისაბედაშვილი, მაკა სამხარაძე, ზეინაბ ლამაზოშვილი, მანანა ჩხაიძე, ქეთევან ცისკარიშვილი, ლეილა გეგეშიძე, ზურაბ ქსოვრელი, თინათინ ხაბურზანია, გოჩა ომაიძე, ლია მარტაშვილი და სხვები... გამჭირვალობის პრინციპით შედგენილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ცერემონიალმა დამსწრე საზოგადოების კმაყოფილება გამოიწვია...

ღია წერილი კოლეჯის კურსდამთავრებულთ

– ძვირფასო სტუდენტებო, პატივცემულო მშობლებო, უერთგულესო პედაგოგებო!

დღეს ჩვენ ვუერთდებით იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის კურსდამთავრებულთა წარმატებას, იმ კურსდამთავრებულების, რომლებიც სტუდენტობის რანგში დაუღალავად შრომობდნენ და თავიანთი ცოდნისა და შრომის შედეგებს დღეს იმკიან... ეს არა მხოლოდ დიპლომების გადაცემის საზეიმო დღეა, არამედ შრომისა და თავდადების აღიარების ცოდნის დღეც არის, მიზნის მიღწევის დღე არის, რომელსაც თითოეულმა თქვენთაგანმა კოლეჯის, მისი პედაგოგიური სპექტრისა და ცოდნის მიღების სიყვარულით მიაღწია... ამიტომაც მოვიდა თქვენთან დღევანდელ დღეს წარმატება! ჩვენთვის, თქვენი პედაგოგებისათვის დიდი პატივია, რომ გვქონდა შესაძლებლობა ვყოფილიყავით გზის გამკვლევნი მეცნიერებათა პროფესიული მიმართულებებით... თქვენი მიზანსწრაფულობა ცოდნის დაუფლებისაკენ აღგვაფრთოვანებს და გვმატებს იმ რწმენას, რომ მომავალი საიმედო ხელშია! დღევანდელი დღე, წარმატების მიღწევა კი არა, მხოლოდ შედეგია, წარმატების მიღწევის პროცესი კი, მთელი ცხოვრება გრძელდება... რამეთუ თქვენთვის ყოველი დღე ახალ-ახალი წარმატებების მომტანი უნდა იყოს...

თბილისი

საუშაო შეხვედრა

საინტერესო და მომავლის იდეებზე ორიენტირებული შეხვედრა გაიმართა რუსთავის აკადემიურ ქალაქში იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორს აკადემიკოს გარი ჩაფიძესა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული უნარების სააგენტოს კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მენეჯერის დეა ღადუას შორის

მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთობების პროტოკოლით გათვალისწინებულ საკითხებზე ინტერნაციონალიზაციის პროექტებისა, რომელიც თავის მხრივ სხვა უამრავ მიმართულებებთან ერთად გამოცდილების გაზიარებასა და სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობას გულისხმობს, საყურადღებოა, რომ ამ მხრივ მართლაც და ბევრი აქვს განსაზოგადებელი ჩვენს კოლეჯს, რომელიც წლებია საზღვარგარეთის რიგი ქვეყნების სასწავლო დაწესებულებათა ყურადღების ცენტრშია

შეხვედრამ, რომელსაც იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექციის მხრიდან ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი როზა გულისაბედაშვილი და პროგრამების მომზადების ცენტრის ხელმძღვანელი მაკა სამხარაძე ესწრებოდნენ, გულთბილ ურთიერთობაში ჩაიარა...

P.S. -ამ დღეებში ქალაქ თბილისში, აბულაძის ქუჩის 10 -ნომერში, პროფესიული უნარების სააგენტოში, ორდღიანი სამუშაო შეხვადრა გაიმართა პროფესიულ სასწავლებლებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განვითარების შესახებ, რომელიც გახსნა პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ირინე მარგიშვილმა, სასწავლო ორგანიზაციის ვებ-გვერდზე საერთაშორისო ურთიერთობების გვერდის ჩაშენებასა და მასზე ინფორმაციის განთავსების შესახებ -ისაუბრა საერთაშორისო მიმართულების მხარდაჭერის კონსულტანტმა თამთა ცქიტიშვილმა, ხოლო ინტერნაციონალიზაციის მიზნებსა და სტრატეგიაზე ამირან მახარაშვილმა (კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი კონსულტანტი) ასევე კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერმა მენეჯერმა დეა ღადუამ სტრატეგიული დოკუმენტის შექმნასა და ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის შესახებ მოგვითხრო, ხოლო რევაზ ბარბაქაძე, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორობის განვითარების მენეჯერი, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე გვესაუბრა... კითხვარების ადმინისტრირება GR -კოდის გამოყენებით -ასეთი გახლდათ მონაცემთა მართვის ანალიტიკოსის თამარ ბერიძის სატრენინგო თემა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია... შეკრებილი საზოგადოების წინაშე საინტერესო საკითხებით წარსდგნენ ერასმუს პლუსის ეროვნული ოფისის წარმომადგენლები მარიამ სულაშვილი და გიორგი მჭედლიძე, გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელების წესსა და პირობებზე ისაუბრა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გუნდის კოორდინატორმა თამარ კაკუტიამ, საინტერესო იყო კოლეჯის წარმომადგენელთა გამოსვლები, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა...

ბილნისი

“ჩემი საქართველო ხარ...“

–„აქეთური, იქეთური, ბოლნური თუ ბაღდადური,
გურული თუ იმერული, მეგრული თუ აჭარული,
კახური თუ ჯავახური, სვანური თუ აფხაზური,
რაჭული თუ ალანური, ქართლური თუ მესხური...
თუშური თუ ხევსურული,
მთიულური თუ ფშავური,
რითაც ვსუნთქავ, რითაც ვტკბები,
ჩემი ქვეყნის ხმაურია...“

– ამ სტრიქონების ავტორი მათემატიკოსი მზია გაფრინდაშვილია, ქალაქ ბოლნისის მეხუთე საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი, უნიჭიერესი, თავის საქმეზე და აღსაზრდელებზე უსაზღვროდ შეყვარებული სათნო ქალბატონი, რომელსაც პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, უამრავი საზოგადოებრივი დატვირთვაც აქვს: – მეთოდური სამსახურის გამგე, სამეურვეო საბჭოს წევრი, მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, წარმომადგენელი სკოლიდან სხვადასხვა კომისიებში ეროვნულ დონეზე, დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე, მრჩეველთა საბჭოს წევრი, წარმომადგენელი კათედრიდან ხარისხის მართვის ჯგუფში, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრი, სასკოლო პროგრამის განხორციელების მხარდამჭერთა ჯგუფის წევრი. სკოლის საავტორიზაციო ჯგუფის წევრი, შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი, „სტემ“ – კლუბ „ოლიმპიელის“ ხელმძღვანელი... უამრავი ჯილდოს მქონე ქალბატონის საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ბიოგრაფია, კიდევ მეტად გაალამაზა ქართული პედაგოგიური ელიტის უმაღლესმა ჯილდომ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის ოქროს მედალმა, სწორედ აღნიშნული მედლის გადაცემის ცერემონია გახდა ჩვენი, ქალაქ ბოლნისის მეხუთე საჯარო სკოლაში სტუმრობის მიზეზი... აქ განსაკუთრებული ჰუმანურობაა, აქ განსაკუთრებულად უყვართ მოსწავლეები და მასწავლებლები... ყველაზე განსაკუთრებული კი, სკოლის დირექტორის ქალბატონ მადონა ლომსაძის მიმართ გამოხატული მოსწავლეთა დიდი სიყვარულია... დირექტორს დასახული მიზნების შესრულების საქმეში, ერთგულად უმშვენებს მხარს სკოლის დამაარსებელი ლეილა ალადაშვილი, დირექტორის მოადგილე ნელი ბახტაძე, სპმთპ-ის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნანა ისიანი და მთელი პედაგოგიური სპექტრი...

საზეიმო ღონისძიება გაალამაზა შემოქმედი მათემატიკოსი ქალბატონის შეხვედრის ადრესატის მზია გაფრინდაშვილის ლიტერატურულ-მუსიკალურმა კომპოზიციამ – „პრინცესა მათემატიკა“, რომელშიც მათემატიკური ნიჭის გავლენით, არაჩვეულებრივი არტისტიზმით მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ნანკა ტუღუში, ანა ნებიერიძე, საბა ანდიაშვილი, ბასილი პეტრიაშვილი, გიორგი ქალდანი, მათე გოგებაშვილი, ნინო მამუკაშვილი, მაია ისიანი, მაია მუსაევა, მარიამ ლომსაძე, მარიამ ყანჩელაშვილი, ანასტასია მაღრაძე, მარიამ აბდუშელიშვილი, ლიზი გავაშელი, ანანო მამუკაშვილი და სხვები...

ადრესატს ქართული პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდო იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის ოქროს მედალი საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, სიტყვით გამოვიდნენ: თავმჯდომარის მოადგილე ლეილა გეგეშიძე, ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ეთერ ჭიპაშვილი, რუსთავის აკადემიური ქალაქის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის მომზადების ცენტრის ხელმძღვანელი მაკა სამხარაძე, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო ცენტრის გიდი-ტურიზმის სპეციალობის ჯგუფის კურატორი გოჩა ომაიძე და სხვები.

დასასრულს, ქალბატონმა მზია გაფრინდაშვილმა, კიდევ ერთხელ მოიხადა მადლობა მისი შრომის მაღალი დონის ჯილდოთი დაფასებისათვის და სამშობლოსადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსით დააგვირგვინა ეს არაჩვეულებრივი შეხვედრა:

–„ ორპირ ქარში მოქცეული,
„საომარი ლელო“ ხარ,
ჩემი დედა-მშობელი და
ჩემი საქართველო ხარ...“

ბუშეთი

საინტერესო შეხვედრა

ამ დღეებში საინტერესო, ბევრისმომცველი და შინაარსიანი შეხვედრა შედგა რუსთავის აკადემიური ქალაქის რექტორ, აკადემიკოს გარი ჩაფიძესა და მსოფლიო ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელ, პედაგოგ-ნოვატორ აკადემიკოს შალვა ამონაშვილს შორის, თანამშრომლობის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს მთელი რიგი სააღმზრდელო საკითხები და შეჯერდნენ იდეების ერთობლივ რეალიზაციაზე, აქვე განხილულ იქნა მასწავლებელთა 32-ე სამეცნიერო-პედაგოგიური ფორუმის დეტალები, რომელიც მომდევნო წლის მარტში გაიმართება...

შეხვედრამ რომელსაც ესწრებოდა პაატა ამონაშვილი, მეუღლესთან თამარ სვიტარიძესთან ერთად, ასევე რუსთავის აკადემიური ქალაქის თანამშრომლები გენრიეტა აბესაძე, მაკა სამხარაძე და გოჩა ომაიძე მეგობრულ, კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა.

თელავი

სასწავლო ცენტრის ეზოში იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი დაიდგა

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ თელავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის ეზოში ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის, მასწავლებელთა – მასწავლებლის იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი დაიდგა.

– დღეს განსაკუთრებული დღე გვაქვს, რადგან ვზეიმობთ დიდ პედაგოგიურ დღესასწაულს, იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის გახსნას ჩვენი სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე, ეს ჩვენი მასწავლებლების, მეცნიერებისა და განათლების ერთიანობის სიმბოლოა, ეს ბიუსტი, არა მარტო დიდ იაკობ გოგებაშვილსა და გამოჩენილი პედაგოგების წარსულს დააფასებს, არამედ მრავალ თაობებსაც გააცნობს მეცნიერების მნიშვნელობასა და განათლების როლს ჩვენს საზოგადოებაში... პედაგოგები ყოველთვის იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ღვთიურად არიან დანიშნულები არა მხოლოდ ცოდნის გადაცემისათვის, არამედ პატიოსნებისა და თანაგრძნობის გაწვდისათვის, ისინი ამზადებენ ჩვენს მომავალს, მიგვითითებენ იმ ცოდნის გზაზე, რომელსაც წარმატებები და მიღწევები მოაქვს – აღნიშნა ბიუსტის გახსნის დღეს საზეიმო ცერემონიალზე საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ.

სიტყვით გამოსვლისას თელავის სასწავლო ცენტრის, განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა მაია მჭედლიშვილმა იაკობ გოგებაშვილის ბიუსტს პედაგოგების შთაგონების წყარო უწოდა და აღნიშნა:

– ეს ბიუსტი არ არის მხოლოდ არქიტექტურული ნამუშევარი, ეს არის უკვდავი მადლიერება წიგნთა-წიგნის ავტორის დიდი იაკობისადმი, ეს შეხსენებაა პედაგოგიური საქმის უკვდავებისა და განათლებისა უკეთესი მომავლისათვის.

მოგონებები გარდასულ დღეთა...

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრის ფეხბურთელი ბიჭები

ის ჩვენი კურსდამთავრებულია!



გაიცანით ლიმერთი ბანკის მოწინავე თანამშრომელი, ჩვენი კურსდამთავრებული აგილ ცაგიევი

ის ჩვენი სტუდენტია!

გაიცანით ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ მოწინავე თანამშრომელი, ჩვენი სტუდენტი აიდა მაგიროვა

მასწავლებლის დღე

აკადემიური ქალაქის ისტორია კიდევ ერთი საინტერესო ფურცლით შეივსო. მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე გავრცელებულმა ინფორმაციამ და მიზნობრივმა სარეკლამო მუშაობამ მთელი ქვემო ქართლის რეგიონში შედეგი გამოიღო, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ რუსთავის არაფორმალური განათლების სასწავლო ცენტრს უამრავი ახალგაზრდა ეწვია სწავლის გაგრძელების სურვილით, აქ ქართველებთან ერთად მოვიდნენ ეროვნებით აზერბაიჯანელი, ასირიელი, ბერძენი, სომეხი ახალგაზრდები, მათთან სასწავლო წლის დაწყებისას გამართული საზეიმო შეხ-

ვედრა განსაკუთრებული შინაარსისა და ფორმის ღონისძიებით ჩატარდა, ახალგაზრდებთან ერთად რუსთავს ქვემო ქართლის სხვადასხვა რაიონიდან პედაგოგებიც ეწვივნენ და სასწავლო ცერნტრის მომავალ სტუდენტებთან ერთად დიდი ინტერესით დაათვალიერეს აკადემიური ქალაქის ტერიტორია, კაბინეტ-აუდიტორიები, შეხვდნენ მასწავლებლებს და ღონისძიებასაც დაესწრნენ...

ღონისძიებას საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი და სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი უძღვებოდა,

შეხვედრა დიდ სააქტო დარბაზში ჩატარდა, აქ მოსულმა სტუმრებმა თავიანთი ხმა შეუერთეს გაჟღერებულ საქართველოს ჰიმნს და სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ქართული სახელმწიფო ჰერალდიკის ამ ერთერთი ნიშნის მიმართ,

დარბაზში შეკრებილთ ინსტიტუტის რექტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ მიმართა, იგი გულთბილად მიესალმა სტუდენტობის მსურველთ, სხვა დანარჩენ სტუმრებს და საგანგებოდ აღნიშნა, რომ ახლა, როგორც არასდროს, ჩვენს ახალგაზრდა თაობას ძალიან სჭირდება ერთურთთან თანადგომა, სიყვარული, დაახლოება და ძალიან ღირსეული კვალიფიციური პედაგოგები... –„ჩვენმა სასწავლებელმა არაერთი პროფესიონალი გაზარდა, ისინი დღეს ჩვენი ქვეყნისა და კერძოდ ჩვენი ქალაქის სხვადასხვა დარგის სფეროში მუშაობენ და ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას. სიამაყით უნდა ვთქვა, რომ ეს ჩვენი და ჩვენი პედაგოგების დამსახურებაა.

ჩვენი დღევანდელი თავმოყრა ამ დარბაზში მიზნად ისახავს მასწავლებლის დღის საგანგებოდ აღნიშვნას და თითოეული ჩვენგანის მადლირი დამოკიდებულების გამჟღავნებას პედაგოგების მიმართ. განათლება ქვეყნისთვის საძირკველია, რაზეც შენდებოდა, შენდება და მომავალშიც უნდა აშენდეს ჩვენი სახელმწიფო... განათლებამ უნდა მიგვიყვანოს სერიოზულ მიღწევებამდე და ამ მიზანმიმართულ საქმიანობაში უდიდესი წვლილი უნდა კვლავაც მასწავლებლებმა შეიტანონ.

ქვეყნის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები უკანასკნელ წლებში მოწმობს იმას, -აღნიშნა ორატორმა,- რომ აუცილებელი გახდა პედაგოგის შრომის ჯეროვნად დაფასება, გაიზარდა ხელფასები, ადგილზე ხელშეწყობა და ეს იმიტომ, რომ შესაბამისად ამაღლდეს სწავლების ხარისხი კონკრეტულ საგანმანათლებლო ობიექტებში...“ რექტორმა მადლობა გადაუხადა რეგიონიდან წვეულ პედაგოგებს და ადგილობრივებს, გაწეული მუშაობისათვის და იმ ზრუნვისა და ამაგისათვის, რასაც ისინი თითოეული ახალგზრდის მიმართ იჩენენ.

ღონისძიების მეორე ნაწილს უძღვებოდა საერთაშორისო კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოება „სალამის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მაია რაჯაბოვა. იგი ქართველ და არაქართველ ახალგაზრდებს ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე მიესალმა, საგანგებოდ აღნიშნა რეგიონიდან წვეულ დამსახურებულ მასწავლებელთა ბიოგრაფიების შესახებ, ერთ-ერთ მათგანს მადინა ხასანოვას დაბადებიდან 60 და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 -წლის იუბილე საზეიმოდ მიულოცეს... ღონისძიებას სტუმრობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ პედაგოგები მადინა ჰასანოვა, ზეინაბ ლამაზოშვილი, ლეილა გეგეშიძე, ნაილა იბრაგიმოვა, სვეტლანა ისაევა, რუბაბა გასანოვა, ზურაბ ქსოვრელი, ნოვრასტა ემინოვა, ლია მარტაშვილი,დილბარ ბაბაევა და სხვები. ყველამ ერთხმად გამოხატა მოწონება აკადემიური ქალაქის მიმართ და ისაუბრეს საკუთარი პედაგოგიური საქმიანობისა და გამოცდილების შესახებ...

ღონისძიების დასასრულს სიტყვა ითხოვა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ რუსთავის სასაწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტის გიუნაი კადიროვას ბებომ, გულაიათ მეხტიევამ, რომელმაც აღნიშნა: -ჩემი შვილიშვილი აქ მეორე წელია სწავლობს, მის სახეზე მუდამ სიხარულს ვხედავ, სასწავლებლიდან დაბრუნებული მიამბობს, რა საინტერესოა აქ ყოფნა... ახლა სპეციალურად მოვედი და ჩემი თვალით ვიხილე აქაურობა, ნანახით გაოცებული ვარ, მადლობა ყველას, რომელებმაც ასე მოაწყო ყველაფერი. ჩემი შვილიშვილი ექთანი უნდა გამოვიდეს, მეამაყება, რომ ასეთ კარგ სასწავლებელშია, ვნატრობ, ნეტავ ახალგაზრდა ვიყო და მეც აქ ვსწავლობდე-მეთქი... -ღონსძიების დასასრულს ქალბატონმა მაია რაჯიბოვამ დარბაზში მყოფ პედაგოგებს საჩუქრები გადასცა და კიდევ ერთხელ მიულოცა მასწავლებლის დღე.

–“ქვემო ქართლის რეგიონი ეთნიკურად ჭრელია, ეს რეგიონი ეკონომიკურად აძლიერებს საქართველოს. ჩვენი მიზანია ამ რეგიონიდან მოსული ახალგაზრდობა მივიღოთ სასწავლებელში, რათა მათ მაღალ დონეზე აითვისონ პროფესიები და თვითონაც, თავიანთი შრომით გააძლიერონ რეგიონის ეკონომიკა... სხვადასხვა ახალგაზრდების დაახლოებამ კი ის შედეგი უნდა გამოიღოს, რომ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას, მის აღმავლობას ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი“ –აღნიშნა შემაჯამებელი სიტყვით გამოსვლისას აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ

ლია მარტაშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №8

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00 22-05-00; 22-00-50; შიდა: 34-00; 35-00

ISSN 2298-0369